



მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

2018

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

1.



ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლის ოქტომბერში დაარსდა. „ელკანას“ მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ბიომეურნეობის განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

„ელკანა“ თავის საქმიანობას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ახორციელებს. დაარსების დღიდან ისეთი საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, როგორებიც არიან EU, GIZ, Brot für die Welt, WB, UNDP, GEF, SDC, HEKS, FAO, IFAD, KfW, WWF და სხვ., ორგანიზაციას განხორციელებული აქვს 90-ზე მეტი პროექტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, სოფლის ტურიზმისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით.

„ელკანას“ საქმიანობის სფეროებია:

- კონსულტაციები და ტრენინგები ბიოწარმოების დარგში;
- აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება;
- ბიოფერმერების, ფერმერთა ჯგუფების ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობა;
- პროდუქტის განვითარება და პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- თემის მობილიზება და სოფლის განვითარება;
- სოფლად ტურიზმის განვითარება და ტრადიციული სურსათისა და ღვინის წარმოებისა და გადამამუშავების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცოდნის ამაღლება ბიოწარმოებისა და ტრადიციული ჯიშების მნიშვნელობის შესახებ;
- ფერმერთა უფლებების დაცვა.

ასოციაცია მუშაობს 2000-ზე მეტ ფერმერთან მთელ საქართველოში, მათ შორის: ფერმერთა ჯგუფებთან, ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, საწარმოებთან და სხვ. „ელკანა“ თანაბრად თანამშრომლობს მამაკაცებთან და ქალებთან. ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ორგანიზაციის დაფუძნებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებასა და მიმდინარე საქმიანობაშიც.

ორგანიზაციის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. მას აგრეთვე აქვს ოფისი ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი) და წარმომადგენლობები: სამეგრელოში (ზუგდიდი), შიდა ქართლში (გორი), კახეთში (დედოფლისწყარო) და იმერეთში (ქუთაისი). გარდა ამისა, „ელკანა“ ამუშავებს ორ საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობას: ხეხილის, კენკროვნების და მარცვლეული კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობას სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი) და შინაური ცხოველების ადგილობრივი ჯიშების საკონსერვაციო ფერმას სოფელ ზემო ხოდაშენში (კახეთი).

„ელკანას“ წევრები (რუკა)



„ელკანას“ წევრები



„ნამდვილი გუდის ყველი მხოლოდ თუშეთში მზადდება. სულ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა მეცხვარეებს ვეხმარებოდი ყველის ამოყვანაში. მას შემდეგ ამ საქმეს მივსდევ და მეამაყება, რომ ტრადიციული წესით ვამზადებ თუშურ გუდას“.

პაატა აბულიძე - თუშური გუდის მწარმოებელი (კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანი). „ელკანას“ წევრი 2014 წლიდან.

„უწინ მესხურ სოფლებში, თითქმის ყველა ოჯახში, პატარა ქოთნებში მზადდებოდა მესხური ტენილი ყველი. დღეს ეს ტრადიცია დავიწყებულია, მაგრამ ჩემს ოჯახში ვცდილობთ, არ დავკარგოთ ეს უნიკალური პროდუქტი - 30 წელზე მეტია, ტენილ ყველს ვაწარმოებ და ამ ხელობას ახალგაზრდებსაც ვასწავლი“.

გალინა ინასარიძე - ტენილი ყველის მწარმოებელი (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ანდრიაწმინდა). „ელკანას“ წევრი 2015 წლიდან.



„მომყავს ადგილობრივი ჯიშის პომიდორი, რომელიც განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა, მაგრამ ჩვენი სოფელი ზღვის დონიდან 850 მ-ზეა, ცივა და ჩითილის გამოყვანა უსათბუროდ ვერ ხერხდება. „ელკანა“ დამეხმარა სათბურისა და წვეთოვანი სისტემის მოწყობაში და ყოველწლიურად 35,000 ძირი პომიდვრისა და ბულგარული წიწაკის ჩითილი გამომყავს“.

ლერი ციცაგი - ბოსტნეულის მწარმოებელი (შიდა ქართლი, გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეჯვრისხევი). „ელკანას“ წევრი 2003 წლიდან.

„კახეთის ბალ-ვენახების ყველაზე ვერაგი მტერი სეტყვაა. ჩემს ბაღებში ვიყენებ სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებს, რომლებიც, სეტყვის გარდა, ძლიერი ქარისგანაც იცავს მეურნეობას. ხილის მოსავალი და ხარისხი აშკარად გაუმჯობესდა“.

სიმონ რუაძე - ინოვაციური მეურნეობა (კახეთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუმლაყი). „ელკანას“ წევრი 2017 წლიდან.



„კახეთის ბალ-ვენახების ყველაზე ვერაგი მტერი სეტყვაა. ჩემს ბაღებში ვიყენებ სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებს, რომლებიც, სეტყვის გარდა, ძლიერი ქარისგანაც იცავს მეურნეობას. ხილის მოსავალი და ხარისხი აშკარად გაუმჯობესდა“.


სიმონ რუაძე - ინოვაციური მეურნეობა (კახეთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუმლაყი). „ელკანას“ წევრი 2017 წლიდან.

„10 წელია მეუღლესთან ერთად ვამუშავებ საოჯახო სასტუმრო სახლს. გვაქვს ბალ-ბოსტანი და მივსდევთ მეცხოველეობასაც. ტურისტებს ვემსახურებით ქართული სტუმარმასპინძლობის წესით და ვთავაზობთ ჩვენი მეურნეობის ნატურალურ პროდუქტებს: ხილს, ბოსტნეულს, რძის ნაწარმს“.

სერგო მაისურაძე და მარინა ტაბატაძე - საოჯახო სასტუმრო „თირები“ (სამცხე-ჯავახეთი, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაწალაქევი). „ელკანას“ წევრი 2008 წლიდან.



საერთაშორისო და ადგილობრივ ქსელებთან თანამშრომლობა



მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

2018

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება - კონსულტაციები, ტექნოლოგიური და ტექნიკური ხელშეწყობა

სამეგრელო-იმერეთი

■ თხილის მწარმოებელი კოოპერატივები სამეგრელოსა და იმერეთში



რა

ასოციაცია „ელკანა“ ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოს თხილის მწარმოებელ 9 კოოპერატივს თხილის წარმოებაში ხარისხის სტანდარტებისა (UTZ და ბიოწარმოების) და შიგა კონტროლის სისტემის დანერგვაში. მთლიანობაში ხარისხის სისტემა დანერგილია ზუგდიდის, წალენჯიხის და ვანის მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრებ 741 ფერმერთან, მათგან 485 ბიოფერმერია ან გადის გარდამავალ პერიოდს. ამ ფერმერთა უმეტესობას „ელკანამ“ მიაწოდა ორგანული

პესტიციდები და ფერომონები, რამაც ხელი შეუწყო ნოვაზიური მავნებლის - აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას მეთოდით „მოიზიდე და მოკალი“. ამ მიდგომით ფერმერებმა თავიდან აიცილეს სახელმწიფო შეწამვლების პროგრამაში ჩართვა და შეძლეს მეურნეობის ბიოსტატუსის შენარჩუნება. სავარაუდოდ, 110 ფერმერი 2018 წლის მოსავლისათვის მიიღებს ბიოსერტიფიკატს, დანარჩენი 375 ბიოსერტიფიკატს უახლოეს წლებში მიიღებს. 741-ვე ფერმერის 2018 წლის მოსავალი UTZ-ის სერტიფიკატის მფლობელია.



სად

ზუგდიდის, წალენჯიხისა და ვანის მუნიციპალიტეტების სოფლები

როდის

2018 წლის გაზაფხულზე.

სხვა მომსახურება

2018 წლის აპრილში კოოპერატივების ხუთმა ლიდერმა მონაწილეობა მიიღო FAO-ს საერთაშორისო კონფერენციაში თხილის ღირებულების ჯაჭვის შესახებ და სასწავლო ტურში ნეპში (იტალია).



იმერეთი

■ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „მეხილეობა რიონი“ - ჟოლოსა და მარწყვის ინტენსიური ბაღის მოწყობა

რა

კოოპერატივი შეიქმნა 2016 წელს და მასში 7 ფერმერია გაერთიანებული. 2018 წელს კოოპერატივის კუთვნილ ფართობზე გაშენდა 1.2 ჰა ჟოლოსა და 0,4 ჰა მარწყვის თანამედროვე ბაღები. ასოციაცია „ელკანამ“ კოოპერატივს ბაღის გაშენების ყველა ეტაპზე გაუწია ტექნიკური დახმარება - რეგულარული კონსულტაციები ტარდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა შემაღლებული კვალის გაკეთება, მცენარეთა ზრდის პარამეტრები, კვების ზონები, ნარგავების მომზადება, დარგვა, ბიოსასუქების გამოყენება, რწყვის რეჟიმი და სხვ.. კენკრის წარმოების რენტაბელობის გაზრდის მიზნით კოოპერატივს გადაეცა მინი-ტრაქტორი, რომელიც აგროტექნიკური ღონისძიებების დროულ და ეფექტიან ჩატარებას უზრუნველყოფს. 2019 წლისათვის კოოპერატივი 5 ტონა ჟოლოსა და 3 ტონა მარწყვის მოყვანას გეგმავს და იმედოვნებს, რომ მომდევნო წლებში მოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება.



სად

კოოპერატივის ბაღი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონში.

როდის

ბაღის აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2018 წელს.

კახეთი

■ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გილე“ - მურაბისა და ხილფაფის დამზადების საწარმოო ხაზი

რა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გილე“ 11 ფერმერს აერთიანებს და 2014 წლიდან მეხილეობას მისდევს. 2009 წლიდან კოოპერატივმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო საქართველოში კენკრის გაშენება და დღეს კენკრა მოჰყავთ როგორც ღია, ისე დახურულ გრუნტში. აქვთ კენკრის რეგისტრირებული სანერგეც. 2018 წელს კოოპერატივმა „ელკანას“ დახმარებით შექმნა მურაბისა და ხილფაფის დამზადების საწარმოო ხაზი, რომლის მიზანია ხილის მოსავლის დანაკარგების შემცირება და ჩირის საამქროს მოდერნიზებითა და მურაბისა და ხილიფაფის წარმოების აწყობით დამატებითი შემოსავლის მიღება. 2018 წელს ბლანშირების დანადგარის გამოყენებით დამუშავდა 5000 კგ ქლიავის ნედლეული, ხოლო უჟანგავი სტელაჟები და ურიკები კოოპერატივმა ვაშლისა და ქლიავის ჩირის დასამზადებლად გამოიყენა. აღჭურვილობის გამოყენების შედეგად კოოპერატივის დამატებითი შემოსავლის მოცულობამ 8000 ლარი შეადგინა.





სად

კოოპერატივის საწარმო მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში.

როდის

საწარმოს აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2018 წელს.

შიდა ქართლი

■ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ბარაქა“ - ბლის თანამედროვე ბაღის მოწყობა

რა

კოოპერატივი „ბარაქა“ დაარსდა 2014 წელს და მასში 19 ფერმერია გაერთიანებული. კოოპერატივის წევრებს საკუთრებაში აქვთ 28 ჰა მიწის ფართობი, სადაც 7 ჰა-ზე გაშენებულია ვაშლის ბაღები. კოოპერატივი ასევე აწარმოებს ერთწლიან კულტურებსაც. ასოციაცია „ელკანას“ დახმარებით კოოპერატივმა 0,5 ჰა მიწის ფართობზე საქართველოში პირველად გააშენა თანამედროვე საძირე - ბროკფოსტერ 1 და ბროკფოსტერ 2-ზე დამყნობილი ბლის ჯიშები ირლი ბულატი და ირლი ლორი. ასოციაცია „ელკანამ“ კოოპერატივს ბაღის გაშენების ყველა ეტაპზე გაუწია ტექნიკური დახმარება - რეგულარული კონსულტაციები ტარდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მცენარეთა ზრდის პარამეტრები, კვების ზონები, ნარგავების მომზადება, დარგვა, ბიოსასუქების გამოყენება, რწყვის რეჟიმი და სხვ..



სად

კოოპერატივის ბაღი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში.

როდის

ბაღის აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2018 წელს.

■ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „კოდისწყარო“

რა



„ელკანას“ მხარდაჭერით 2015 წელს შექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აერთიანებს 7 მცირე ფერმერს, რომლებიც 0.5 ჰა ფართობზე 3 ჯიშის ჟოლოს აწარმოებენ. კოოპერატივის წევრთა შემოსავალი ძირითადად სწორედ ჟოლოს გაყიდვაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ კოოპერატივი მაღალი ხარისხის ჟოლოს აწარმოებს, ხშირად ვერ ხერხდებოდა პროდუქციის ხარისხიანად და უდანაკარგოდ მიტანა ბაზარზე, რისი ძირითადი მიზეზიც შემდეგია: ვერ ხერხდებოდა დროული (უშუალოდ შეგროვების შემდეგ) პროდუქციის

გაგრილება და ბაზარზე მიწოდება. „ელკანას“ დახმარებით კოოპერატივმა შეიძინა მანქანა-მაცივარი, რაც გააადვილებს პროდუქციის ბაზრამდე მიტანასა და კოოპერატივის შემოსავალს დაახლოებით 10%-ით გაზრდის.



სად

ჟოლოს ბაღი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროში.

როდის

მანქანა-მაცივარი შეიძინეს 2018 წლის აგვისტოში.

სამცხე-ჯავახეთი

■ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „კოდი“ - თანამედროვე საფუტკრის მოწყობა

რა

კოოპერატივი „კოდი“ დაარსდა 2016 წელს და მასში 11 მეფუტკრეა გაერთიანებულია, მათ შორის 4 ქალია. 2018 წელს ასოციაცია „ელკანას“ დახმარებით კოოპერატივმა შეიძინა თაფლის, ფუტკრის მტვრისა და ჭეოს წარმოებისათვის საჭირო აღჭურვილობა. ასევე სოფელ ღრელში შემოიღობა კოოპერატივის კუთვნილებაში არსებული 0.11 ჰა ფართობი, მოეწყო მეფუტკრეობის სადემონსტრაციო ნაკვეთი, რისთვისაც შექმნილ ქნა 5 სხვადასხვა ტიპის სკა და ფუტკრის ოჯახი. კოოპერატივს გაეწია კონსულტაციები ფუტკრის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით, საბუღალტრო და შიგაკოოპერაციული დოკუმენტებისა და მარკეტინგულ საკითხებზე. 2018 წელს „კოდის“ წევრებმა აწარმოეს 1430 კგ. თაფლი, საიდანაც დაახლოებით 40% „ელკანას“ დახმარებით შექმნილი ფუტკრიდანაა მიღებული. დამატებითმა შემოსავალმა შეადგინა 9690 ლარი.



სად

საფუტკრე მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. ღრელში.

როდის

საფუტკრის აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2018 წელს.

სხვა მომსახურება

კოოპერატივ „კოდის“ წევრები თავლს ძირითადად ადგილზე - ახალციხეში, ბორჯომსა და აბასთუმანში ყიდიან, ასევე აბარებენ თბილისში 2 სავაჭრო ობიექტში. კოოპერატივი აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენა-გაყიდვაში: თბილისობაზე, თავლის, ღვინის, ყველის, პურის ფესტივალებზე, პროექტი „გემოვანი ბაზრის“ ფარგლებში მოწყობილ ღონისძიებებზე.

რაჭა

- **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ღარულა“ - თანამედროვე საფუტკრის მოწყობა**

რა

კოოპერატივი „ღარულა“ 2015 წელს შეიქმნა და 5 მეფუტკრე ფერმერს აერთიანებს. კოოპერატივის საფუტკრე მდებარეობს სოფელ ღარში, სადაც მეფუტკრეობის განვითარების უდიდესი პოტენციალი არსებობს: აკაციის, წაბლის, ცაცხვის ტყეები და ალპური მდელოები მაღალხარისხიანი და სუფთა თავლის მიღების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ბუნებრივი პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ფუტკარი ადგილზე დარჩეს (არ ამთაბარონ), რაც თავლის წარმოების თვითღირებულებას საგრძნობლად ამცირებს.



2018 წელს „ელკანას“ დახმარებით

კოოპერატივმა გააფართოვა საფუტკრე - შეიძინა სხვადასხვა ტიპის 55 სკა და მოაწყო სადემონსტრაციო საფუტკრე, სადაც ხდება სხვადასხვა ტიპის სკის ეფექტიანობაზე დაკვირვება. ასეთი ტიპის სადემონსტრაციო საფუტკრე ონის მუნიციპალიტეტში პირველად შეიქმნა. კოოპერატივს „ელკანამ“ ასევე გაუწია ტექნიკური დახმარება - ჩატარდა კონსულტაციები ფუტკრის დაზამთრების, ფუტკრის საკვები მარაგის შევსებისა და საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების საკითხებზე.

სად

საფუტკრე მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ღარში.

როდის

საფუტკრის აღჭურვა-მოწყობა დასრულდა 2018 წელს.

სასოფლო-სამეურნეო მოდელები - თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

■ წვეთოვანი სისტემა დაფნის ბაღში

რა

სადემონსტრაციო მოდელი - წვეთოვანი სისტემა მოეწყო ფერმერ რევაზ კუკავას მეურნეობაში. მოდელის ფარგლებში დაფნის ბაღში დამონტაჟდა მორწყვის წვეთოვანი სისტემა და ფერმერს უსასყიდლოდ გადაეცა ბიოსასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები.

სად

ნაკვეთი მდებარეობს სამეგრელოს რეგიონში, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში.

როდის

მოდელი მოეწყო 2018 წელს.



■ ქარსაფარი ზოლის მოწყობა კახეთში



რა

სადემონსტრაციო მოდელი - ქარსაფარი ზოლი მოეწყო ორი ფერმერის - ზაზა ჩიკვაიძისა და გოგი ქურციკაშვილის მეურნეობებში. პროექტის ფარგლებში ქარსაფარი ზოლის მოსაწყობად გაშენდა კვიპაროსის, იფნის, ნეკერჩხლისა და თეთრი თუთის ნარგაობა.

სად

ნაკვეთები მდებარეობს კახეთის რეგიონში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში.

როდის

მოდელი მოეწყო 2018 წელს.

■ ვერმიკომპოსტი და კონსერვაციული სოფლის მეურნეობა შიდა ქართლსა და სამეგრელოში

რა

ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით ორი ფერმერის - გიორგი გორგაძისა და ზაზა ხარიბეგაშვილის მეურნეობებში მოეწყო ვერმიკომპოსტისა და კონსერვაციული მეურნეობის სადემონსტრაციო მოდელი. ზაზა ხარიბეგაშვილს 2 ჰა-ზე ხეხილის ბაღი და 1 ჰა-ზე ბოსტნეული კულტურები აქვს გაშენებული. გიორგი გორგაძეს 0.5 ჰა ფართობზე ბელტის გადაბრუნებით ხვნის გარეშე მოჰყავს ბოსტნეული და მარცვლოვანი კულტურები. ორივე მეურნეობაში აშენდა 60მ² ფართობის ნაგებობები და მოეწყო ვერმიფერმა - ფერმერებს გადაეცათ 40-40 სადედე ჭიკაძელების ოჯახი და მცენარეთა დაცვის საშუალებები. 2018 წელს ვერმიფერმაში ფერმერებმა უკვე მიიღეს და თავიანთ ფართობებზე შეიტანეს საუკეთესო ბიოსასუქი - ვერმიკომპოსტი (ზაზა ხარიბეგაშვილმა - 3 ტ და გიორგი გორგაძემ - 1.5 ტ).



სად

ნაკვეთები მდებარეობს: სამეგრელოს რეგიონში - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში და შიდა ქართლის რეგიონში - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში.

როდის

მოდელი მოეწყო 2018 წელს.

ფერმერის დღე/სასწავლო-საინფორმაციო ტური - გამოცდილების გაზიარება

■ ხორბლის ნათესების მონიტორინგი

2018 წლის ივნისში „ელკანას“ ხელმძღვანელობამ, ხორბლის ექსპერტ ელი როგოსასთან ერთად (Grow Seeds, აშშ), მოინახულა აგრარული ბიომრავალფეროვნების პროგრამაში ჩართული ხორბლის მწარმოებელი ფერმერები შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ვიზიტების მიზანი იყო ხორბლის ნათესების მონიტორინგი და შემდგომი საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმვა რეგიონებში.



■ ფერმერის დღე - პრაქტიკული კონსულტაციები საფუტკრე მეურნეობაში

რა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ხელშეწყობით ზაზა ივანიძის საფუტკრე მეურნეობაში ჩატარდა ფერმერის დღე, რომლის მიზანი იყო რეგიონის მეფუტკრეებისთვის და სხვა დაინტერესებული ფერმერებისთვის „ელკანას“ წევრი მეფუტკრის მეურნეობის გაცნობა და პრაქტიკული კონსულტაციის ორგანიზება. ფერმერის დღის მონაწილეებმა დაათვალიერეს ზაზა ივანიძის საფუტკრე მეურნეობა, ნახეს იქ არსებული სკები და ფუტკრის ოჯახები, ასევე მასპინძლის მიერ მოწყობილი აპითერაპიის ოთახი. ზაზა ივანიძემ დამსწრეებს გააცნო საკუთარი გამოცდილება მეფუტკრეობაში და ის მეთოდები, რომლებსაც იგი ფუტკრის ოჯახების მოვლა-პატრონობისათვის ყოველდღიურად იყენებს. მეფუტკრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება და მიიღეს პრაქტიკული რჩევები „ელკანას“ კონსულტანტისაგან მეფუტკრეობის დარგში მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.



სად

ფერმერის დღე ჩატარდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხში.

როდის

2018 წლის 26 ივნისს.



■ ფერმერის დღე -

ადგილობრივი კულტურების მოვლა-მოყვანა

რა

ჩატარდა ფერმერის დღე ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე სოფელ წნისში, რომლის მიზანი იყო ფერმერებისათვის სადემონსტრაციო ნაკვეთის გაცნობა, ხეხილის, მარცვლოვანი და პარკოსანი

კულტურების ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაცია ფერმერულ მეურნეობებში მათი დანერგვისა და შენარჩუნების ხელშეწყობად.

ფერმერის დღეს ესწრებოდნენ რეგიონის ფერმერები, რომლებმაც დაათვალიერეს „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი, სადაც ითესება და მრავლდება მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების, ასევე, ხეხილის ადგილობრივი ჯიშები. მონაწილეებს გაეწიათ კონსულტაცია ამ კულტურათა წარმომავლობის, ბიოლოგიური თავისებურებების, გამოყენებისა და მოვლა-მოყვანის ბიომეთოდების, აგრეთვე, სათესლე და სარგავი მასალის ხელმისაწვდომობის შესახებ. ფერმერებმა დააგემოვნეს სადემონსტრაციო ნაკვეთზე მოწეული ახალციხის (მესხური) წითელი დოლის ხორბლისაგან გამომცხვარი პური და პარკოსანი კულტურებისაგან - ცულისპირას, მუხუდოსა და

ცერცვისაგან მომზადებული კერძები. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და მონაწილე ფერმერთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სად

ფერმერის დღე ჩატარდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში.

როდის

2018 წლის 24 ივლისს.

■ სადემონსტრაციო დღე - ჟოლოს ინტენსიური ბადის მოწყობა

რა

ჩატარდა სადემონსტრაციო დღე ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე სოფელ წნისში. ჟოლოს გაშენებით დაინტერესებულმა ადგილობრივმა ფერმერებმა ნახეს „ელკანას“ ნაკვეთზე არსებული სადემონსტრაციო მოდელი - ჟოლოს ინტენსიური ბაღი, რომელიც აღჭურვილია წვეთოვანი სარწყავი და საყრდენი სისტემებით, მიიღეს ინფორმაცია და პრაქტიკული კონსულტაცია ჟოლოს ინტენსიური ბადის გაშენებისა და მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და მონაწილე ფერმერთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის ჟოლოს ინტენსიური ბადის გაშენება სიახლეს წარმოადგენს.



სად

სადემონსტრაციო დღე მოეწყო ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში.

როდის

2018 წლის 26 ოქტომბერს.

სოფლად მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა



■ თემის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის ნავთობსადენის აღმოსავლეთი ნაწილის მიმდებარე სოფლებში

2018 წლიდან ასოციაცია „ელკანა“ ახორციელებს პროექტს „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის მარშრუტის აღმოსავლეთ მონაკვეთზე 3“. პროექტი ინიცირებული და

დაფინანსებულია BP-სა მისი პარტნიორების მიერ საქართველოს მილსადენის კომპანიაში და მოიცავს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსის) მარშრუტის გასწვრივ მდებარე სოფლებს.

2018 წელს 56 სამიზნე სოფლიდან ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგი გაიარა 144 კონკურსანტმა. პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 44 მცირე ბიზნესი.



■ სემინარი მარცვლეულისა და პარკოსნების მწარმოებლებისათვის

29 მარტს „ელკანას“ ახალციხის რეგიონულ ოფისში ჩატარდა სემინარი მარცვლეულისა და პარკოსნების მწარმოებლებისათვის. ტრენინგს დაესწრო 13 მეწარმე, მათგან - 5 ქალი. ტრენინგზე განხილული იყო პროდუქციის მოყვანის, დაფასოებისა და რეალიზაციის წესები. ასევე, ბრენდირებისა და ეტიკეტირების საკითხები.

მერძვეობის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარება

■ შეხვედრა სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებთან და სულგუნისა და თუშური გუდის ყველის მწარმოებლებთან

რა

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ერთობლივი პროექტის - „მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრა, რომელზეც მოხდა ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების „სულგუნისა“ და „თუშური გუდის“ სენსორული ანალიზი, რომლის შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება აღნიშნული გეოგრაფიული აღნიშვნების ორგანოლეპტიკური მახასიათებლები.



სად

მცხეთა, საქპატენტის ოფისი, ანტიოქიის ქუჩა N5

როდის

15 თებერვალი, 2018.

■ სასწავლო ტური საფრანგეთსა და შვეიცარიაში

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ერთობლივი პროექტის - „მდგრადი ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა რძის სექტორში გეოგრაფიული აღნიშვნების განვითარების გზით“ ფარგლებში ქართული დელეგაციისთვის მოეწყო სასწავლო ტური საფრანგეთსა და შვეიცარიაში, სადაც დელეგაციის წევრებმა მოინახულეს



გეოგრაფიული აღნიშვნისა და დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ტრადიციული ყველის საწარმოები, გაეცნენ ასოციაციებისა და კოოპერატივების როლსა და სერტიფიცირების ორგანოს მუშაობას. სასწავლო ტურში მონაწილეობას იღებდნენ სულგუნისა და თუშური გუდის მწარმოებლები, FAO-ს, „ელკანას“, სურსათის ეროვნული სააგენტოს, საქპატენტის, სერტიფიცირების ორგანო „კავკასსერტის“, ასოციაციების - „თუშური გუდისა“ და „საქრძის“ წარმომადგენლები.

■ FAO-ს და INAO-ს ექსპერტების მისია გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლისა და სერტიფიცირების სქემის შემუშავების მხარდასაჭერად

2018 წლის 17-25 მაისს გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლისა და სერტიფიცირების სქემის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ექსპერტთა ჯგუფი ეწვია. სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში არსებულ ყველის საოჯახო საწარმო NRG-ში ჩატარდა სულგუნის წარმოების კონტროლისა და სერტიფიცირების პროცედურების სიმულაციის სავარჯიშო, რომელშიც მონაწილეობდნენ რძის მწარმოებელთა ასოციაცია, კავკასსერტი, როგორც მომავალი სერტიფიცირების ორგანო და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები - როგორც დამკვირვებლები.



სიმულაციის ასეთივე სავარჯიშო ჩატარდა თუშეთში, ვესტომთაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს - სერტიფიცირების მომავალი ორგანოსა და კავკასსერტის, როგორც დამკვირვებლის, მონაწილეობით. სავარჯიშოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ კონკრეტული პირობების გაცნობისათვის, რომელშიც ტრადიციული მცირე მწარმოებლები მუშაობენ, განსაკუთრებით თუშეთის მთებში, აგრეთვე, ინსპექტირების პროცესის შესაბამისი ადაპტირებისათვის. გარდა ამისა, მიღებულ იქნა დამატებითი მონაცემები ორივე პროდუქტის კონტროლის გეგმების

დასრულებისათვის. სიმულაციის სავარჯიშოსა და განხილვების დროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეამოწმა წარმოების ყველა ასპექტი. ექსპერტებმა ასევე მოინახულეს თუშური გულის მწარმოებელთა კოოპერატივი „ალაზნისთავი“.



„ელკანას“ საქმიანობის პოპულარიზაცია

■ სამუშაო შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის ეფექტიანი მართვის საკითხებზე

2018 წლის 31 იანვარს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, თბილისში, საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამმა“ და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ უმასპინძლეს სამუშაო შეხვედრას „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეფექტიანი მართვისა და დამატებული ღირებულების შექმნის პრობლემები და შესაძლებლობები“. შეხვედრა ჩატარდა ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამის (ENPARD) მიერ დაფინანსებული პროექტის „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.



აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასოციაცია „ელკანას“ მიერ დაფინანსებულია 15 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი 3 მუნიციპალიტეტში და, საერთო ჯამში, ამ კოოპერატივებში ინვესტირებულმა თანხამ 1 226 000 ლარს გადააჭარბა. მნიშვნელოვანია, რომ ბრენდირებისა და სურსათის უვნებლობის კუთხით მომსახურება გაეწია 52 კოოპერატივს. პროექტი მოიცავდა არამარტო კოოპერატივების ფინანსურ მხარდაჭერას, არამედ სწავლებასა და გამოცდილების გაზიარებას მრავალი მიმართულებით.

სამუშაო შეხვედრისას მისი მონაწილეები გაეცნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკანონმდებლო რეგულირებისა და კოოპერატივების მართვის პრაქტიკულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლებლობებს.

სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ პროექტის ფარგლებში დაფინანსებული თუშური გუდის ყველის მწარმოებელ კოოპერატივ „ალაზნისთავის“ თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ასოციაცია „თუშურ გუდას“, რომლის მიზანია გუდაში ყველის მწარმოებლების გაერთიანება, წარმოების ტექნოლოგიის ტრადიციის გაცოცხლება და თუშური გუდის, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნის, დაცვა..



■ **The Brot für die Welt სტუმრად „ელკანას“ წვერ ფერმერებთან**

2018 წლის 17 მაისს ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ხელმძღვანელი ბ-ნი ლუტც ვოლციფერი და კავკასიისა და ცენტრალური აზიის პროგრამის თანამშრომელი ქ-ნი ნინა ხიჩია შიდა ქართლში, რუსეთის საოკუპაციო ზოლთან ახლოს, მცხოვრებ „ელკანას“ წვერ ფერმერებს ესტუმრნენ. ისინი გაეცნენ „ელკანას“ საქმიანობას ამ რეგიონში, შეხვდნენ პროექტში ჩართულ ფერმერებს და მათთან ერთად იმსჯელეს არსებული ვითარებისა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. მათ მონაახულეს:



- დავით ბულბულაშვილის ყოლოს ბაღი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროში;
- ლერი ციცაგის მზის სათბური (ბოსტნეულის ჩითილები, მწვანელი, პომიდორი) გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანში;
- მარიკა ყანდორელაშვილის ფერმა,

- ალუბლის, ყოლოს, ქლიავისა და ვაშლის ბაღები გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სათემოში;
- გიორგი კოკოზაშვილის ვაშლის ბაღი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგნეთში;
- მეფუტკრეობის კოოპერატივი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენში.



■ „ელკანა“ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე „ხორბლის ლენდრასები ჯანსაღი სასურსათო სისტემებისათვის“



2018 წლის 13-15 სექტემბერს „ელკანას“ დირექტორი და პროგრამის მენეჯერი მონაწილეობდნენ პირველ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ორგანიზებული იყო IFOAM-ის, ბოლონიის უნივერსიტეტისა და Kamut-ის (ბოლონია, იტალია) მიერ. კონფერენციაზე მოწვეულები იყვნენ თანამაზრე მეცნიერები ხორბლის ლენდრასების, მათ შორის, ხორბლის თანამედროვე და უძველესი



პოპულაციების მნიშვნელობის განსახილველად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მათ როლზე ჯანმრთელობისა და კვების სფეროებში, ასევე, მათ ბუნებრივ სურნელსა და არომატზე. „ელკანამ“ წარმოადგინა პოსტერი, რომელმაც პოსტერების კონკურსში უმაღლესი ქულები დაიმსახურა. ხორბლის კონსერვაციის პროგრამის ფარგლებში „ელკანას“ საქმიანობის შესახებ ისაუბრა „ელკანას“ დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ.

■ შტატის გასვლითი სემინარი კვარიათში

2018 წლის 6-12 ივლისს კვარიათში ჩატარდა „ელკანას“ შტატის გასვლითი სემინარი. სემინარს ხელმძღვანელობდა Brot für die Welt-ის საკონსულტაციო განყოფილების თანამშრომელი არიანე გრუმჩინსკი. სემინარს ესწრებოდნენ „ელკანას“ თანამშრომლები და გამგეობის ხუთი წევრი. განხილვის ძირითადი საკითხი იყო „ელკანას“ ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მათი როლი ბენეფიციარების მხარდაჭერაში. ინტერაქტიულ სესიებზე განყოფილებების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ანგარიშები თავიანთი საქმიანობისა და აქტივობების შესახებ და მოისმინეს მონაწილეთა შეფასებები. სემინარის შედეგად შემუშავდა შემდგომი საქმიანობის, ბენეფიციართა საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად საჭირო საკითხების სია.

სემინარის ერთი დღე მთლიანად დაეთმო ტრენინგს - კონტექსტის თანამონაწილეობითი ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენება. ტრენინგს ესწრებოდა „ელკანას“ მართვის ჯგუფი.



■ ხილის ფესტივალი კახეთში

29 ივლისს კახეთში, ქ. გურჯაანში გაიმართა ხილის ფესტივალი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ ხილის ადგილობრივი მწარმოებლები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლები, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მედია. ხილის ფესტივალზე ასოციაცია „ელკანას“ წევრებმა დამსწრე საზოგადოებას მრავალფეროვანი პროდუქცია წარუდგინეს: ატამი, ვაშლი, მსხალი, თუთა, საზამთრო. ლამაზად გაფორმებულმა სტენდმა და ხარისხიანმა პროდუქციამ დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.



■ ბიოღვინის საერთაშორისო ფესტივალი ავსტრიაში

11-12 აგვისტოს „ელკანას“ წარმომადგენლებმა ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტთან ახლოს, ვერნბერგში გამართულ ბიოღვინის საერთაშორისო ფესტივალზე წარადგინეს

ქვეყრის ბიღვინოები: რქაწითელი ტრადიციული - იოსებ აბდუშელიშვილის მარანი; თავკვერი ვარდისფერი - ვანო ქოქოსაძე, კომპანია „ვაინო“; საფერავი - პაატა სარდალაშვილის მარანი, კომპანია „არტევანი“. სამივე ღვინომ ფესტივალის დამსწრეების მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. ასევე, ფესტივალზე დარიგდა „ელკანას“ ინგლისურ-გერმანულ-ფრანგულ ენებზე შესრულებული პუბლიკაცია „ღვინის დაყენება ქვეყრში“.

■ „ელკანა“ Slow Food-ის საერთაშორისო გამოფენაზე

Slow Food International-ის მიწვევით „ელკანამ“ 20-24 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო იტალიაში, ქ. ტურინში ჩატარებულ Slow Food-ის საერთაშორისო გამოფენაში Terra Madre Salone del Gusto 2018. ღონისძიება, რომელიც ტრადიციულად 2 წელიწადში ერთხელ ტარდება, ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიებაა, რომელიც სუფთა, გემრიელ და მართალ საკვებს ეძღვნება. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „ელკანას“ წარმომადგენლებთან ერთად, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართველი ფერმერებიც: ღვინის, ყველის, მარცვლეულის, ჩურჩხელის, აჯიკისა და სხვა პროდუქციის მწარმოებლებიც. მსოფლიოში ყველაზე დიდ გასტრონომიულ გამოფენაზე ქართულმა დელეგაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ქართული პროდუქცია და კულინარიული ხელოვნება გააცნო. ქართულმა პურმა, ღვინომ, აჯიკამ, ყველმა და ჩურჩხელამ დიდი მოწონება დაიმსახურა.



■ ასოციაცია „ელკანა“ პურის ფესტივალზე



2018 წლის 20-21 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა პურის ფესტივალი, რომელზეც ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ თბილისელებს წარუდგინა ინფორმაცია ხორბლის ქართული ჯიშების შესახებ და დააგემოვნებინა ასოციაციის წევრი ფერმერების მიერ მოყვანილი ქართული ხორბლების - ახალციხური წითელი დოლისა და დიკის ფქვილისაგან ტრადიციული წესით, თონეში გამომცხვარი პური. ფესტივალის მონაწილეებმა მიიღეს

ინფორმაცია ქართული ხორბლების ღირსებებისა და მისგან გამომცხვარი პურის სასარგებლო თვისებების შესახებ. სურნელოვანმა და გემრიელმა პურმა ფესტივალის სტუმრების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა - ყველა აღნიშნავდა, რომ, თუ ის ბაზარზე გამოჩნდება, ყოველდღიურად სწორედ ასეთ პურს შეიძენენ.



■ დასაქმების ფორუმი ლტოლვილთათვის

7 დეკემბერს „ელკანას“ წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში, ექსპოჯორჯიას საგამოფენო დარბაზში გამართულ დასაქმების ფორუმში, რომელიც მოეწყო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ოფისის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „საქართველოში ლტოლვილებისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მხარდაჭერა“ ფარგლებში. ფორუმზე დამსწრე საზოგადოება გაეცნო „ელკანას“ საქმიანობის ამსახველ სტენდს და პუბლიკაციებს. მონაწილეებმა დააგემოვნეს „ელკანას“ წევრების მიერ წარმოებული სამი სახის ჩაი. ფორუმის ფარგლებში მოეწყო ლტოლვილთა დაჯილდოება: სამ გამარჯვებულს გადაეცა „ელკანას“ სასაჩუქრე პაკეტი.



სოფლის ტურიზმი

■ სასწავლო ტურები სოფლის ტურიზმის თემაზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

2018 წლის იანვარსა და თებერვალში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ახალციხის რეგიონულმა ოფისმა უმასპინძლა ორ 6-დღიან სასწავლო ტურს სოფლის ტურიზმის თემაზე, რომელსაც „ელკანას“ ექსპერტები გაუძღვნენ. ტურებში მონაწილეობა მიიღო ჭუბურის თემის სოფლების (მესტიის მუნიციპალიტეტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) 20 მცხოვრებმა, რომლებიც ჩართულნი არიან ან აპირებენ ჩაერთონ ტურიზმის, კერძოდ, საოჯახო სასტუმრო სახლების ბიზნესში.



სასწავლო ტურები შედგებოდა თეორიული და პრაქტიკული სწავლებისაგან. ორივე ტურის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „სოფლის ტურიზმის საფუძვლები“, რომელიც მოიცავდა: სასტუმრო სახლის მოწყობის, ტურისტული ობიექტის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, კვების, ტურისტული პროდუქტების მომზადებისა და ტურისტულ ბაზარზე გასვლის საკითხებს. მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით შედგა მონაწილეთა ვიზიტი „ელკანას“ სოფლის ტურიზმის ქსელის წევრ საოჯახო სასტუმრო სახლებში,

სადაც ისინი შეხვდნენ გამოცდილ მასპინძლებს, დაათვალიერეს მათი სახლები, გაეცნენ მათ გამოცდილებასა და დამატებით მომსახურებებს, რომელთა შეთავაზებაც ტურისტულ ობიექტებს შეუძლიათ.

ტრენინგებმა ტესტირების მეშვეობით შეაფასეს მონაწილეთა ცოდნის დონე ტურების დაწყებამდე და მათ მიწურულს - ყველა მონაწილემ მიიღო მაღალი შეფასება და გადაეცათ სასწავლო ტურში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.



■ საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემებისა და მიკრომეწარმეების შესაძლებლობების გაზრდა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ მსოფლიო ბანკისა და იაპონიის სოციალური განვითარების ფონდის დაფინანსებით კახეთისა და იმერეთის რეგიონებში 2015 წლიდან ახორციელებს 3-წლიან პროექტს „საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემებისა და მიკრომეწარმეების შესაძლებლობების გაზრდა“. პროექტის მიზანია, ტურიზმის სექტორში ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების გზით ხელი შეუწყოს



მოწყვლადი ჯგუფებისა და ინდივიდების შემოსავლების გაზრდას.

2018 წელს მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 46 ბენეფიციარი, რომლებიც ჩართულნი არიან ტურიზმის ბიზნესში სხვადასხვა მიმართულებით: საოჯახო სასტუმრო სახლები, სუვენირების წარმოება, ტურების შეთავაზება, კვების ობიექტები, ღვინის მარნები, ფოლკლორული ანსამბლები და სხვ.. კახეთსა და იმერეთში განხორციელდა 21 სათემო პროექტი:

პარკებისა და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია, საპიკნიკე ადგილების მოწყობა, ტურისტულ ადგილებში სანაგვე ურნების განთავსება, ტურისტული მარშრუტების მარკირება და სხვ.. პროექტის ფარგლებში ჩატარდა 8 ტრენინგი, რომელსაც 50 კაცი დაესწრო.

2018 წლის 31 ივლისს ქ. თბილისში, „ქორთიარდ მერიოტის“ საგამოფენო დარბაზში ჩატარდა პროექტის დახურვის ღონისძიება. მასზე მოწვეულნი იყვნენ პროექტის ბენეფიციარები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციები და დაინტერესებული პირები. პროექტის გუნდმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო 2015-2018 წლებში პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები და მიღწეული შედეგები.



■ ტრენინგი დედოფლისწყაროში

2018 წლის 4-6 ივლისს დედოფლისწყაროში ასოციაცია „ელკანამ“ სოფლის ტურიზმის ბიზნესში ჩართული პირებისათვის ჩაატარა ტრენინგების კურსი „სოფლის ტურიზმი“, რომელსაც დაესწრო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები 14 პირი – 9 ქალი და 5 მამაკაცი. სოფლის ტურიზმის ბიზნესში ჩართვის მსურველები გაეცნენ სოფლის ტურიზმის არსს, სოფლად ტურიზმის განვითარების პირობებს, ძირითად

ტურისტულ შეთავაზებებს, ეზოსა და სახლის მოწყობის, ტურისტული პროდუქტის, ტურისტული დანახარჯების, კომუნიკაციის წესებს, მომსახურების ხარისხის სტანდარტებს, კატეგორიზაციის სისტემასა და ტურისტთა კვების თავისებურებებს.

■ სემინარი ქალთა სათემო ჯგუფებისათვის

2018 წლის 2 ოქტომბერს თელავში და 5 ოქტომბერს ჩხოროწყუმში ასოციაცია „ელკანამ“ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროექტის „ცვლილებები ქალთა განვითარებისათვის“ ფარგლებში ჩაატარა სემინარი „სოფლის ტურიზმი“. მას დაესწრო 46 პირი - კახეთისა და სამეგრელოს ქალთა სათემო ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულნი არიან ტურიზმის ბიზნესში ან მომავალში აპირებენ ჩართვას. დამსწრეები გაეცნენ სოფლის ტურიზმის არსს, სოფლად ტურიზმის განვითარების პირობებს, ძირითად ტურისტულ შეთავაზებებს, კომუნიკაციის წესებს, მომსახურების ხარისხის სტანდარტებს, წარმატებული ტურისტული ბიზნესის მაგალითებსა და სხვ.



■ სოფლის ტურიზმის II საერთაშორისო კონფერენცია



19-20 ოქტომბერს ქ. ბათუმში სოფლის ტურიზმის II საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. 150-მდე დელეგატმა 6 ქვეყნიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან განიხილეს თემა „სოფლის ტურიზმი, როგორც ბიზნესი“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც უცხოელმა, ისე ქართველმა ექსპერტები, საოჯახო სასტუმრო სახლების მეპატრონეებმა, ტურისტული სააგენტოების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ასოციაცია „ელკანას“ სოფლის ტურიზმის ქსელის წევრმა საოჯახო სასტუმროების მფლობელებმა და „ელკანას“

სოფლის ტურიზმის კოორდინატორმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის მუშაობაში.

„ელკანას“ სოფლის ტურიზმის კოორდინატორმა ნანა ქართველიშვილმა კონფერენციაზე წარადგინა პრეზენტაცია - „სოფლის ტურიზმის სტანდარტები და გამოწვევები“, რომელიც შეეხო: ქვეყანაში სოფლის ტურიზმის განვითარების ტენდენციებსა და სოფლის ტურიზმის სტანდარტების კუთხით არსებულ მდგომარეობას; 2018 წელს „ელკანას“ სოფლის ტურიზმის სტანდარტის განახლებასა და მასში შესულ ძირითად ცვლილებებს. კონფერენციაზე აგრეთვე სიტყვით გამოვიდნენ და საკუთარ ბიზნესზე ისაუბრეს „ელკანას“ სოფლის ტურიზმის ქსელის წევრებმა: ნათია ბაკურიძემ - ზემო ომალოდან, მარინა ნარიაშვილმა და მარინა ალომაშვილმა - ახალციხიდან, ნანა ქოქიაშვილმა -სიღნაღიდან და მანანა თავბერიძემ - ქვემო ალვანიდან..

წლიური შემოსავალი და ხარჯი

ვალუტა: ევრო

2018 წელი

საწყისი ნაშთი	211,181
შემოსავალი	
დონორები	
Brot fur die welt	359,700
EPER	166,197
World Bank	335,723
IFAD	189,460
FAO	61,646
GIZ	9,772
ADA	-
სხვა	150,460
საწევრო შენატანები	1,856
შემოწირულობა	15,062
სხვა შემოსავალი	20,611
მთლიანი შემოსავალი	1,310,487
ხარჯები	
პროექტის ხარჯები	478,050
ინვესტიციები კოოპერატივებისთვის, თანადაფინანსება	452,485
ადმინისტრაციული ხარჯები	361,320.05
სხვა ხარჯები	102,144.85
მთლიანი ხარჯი	1,394,000
საბოლოო ნაშთი	127,667

მარიამ ჯორჯაძე

დირექტორი

